პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 41 (6602)

28 თებერვალი. ხუთშაბათი. 1980 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „დინამო" (თბილისი) — ასკ (ხაბაროვსკი) 3:1 (2:0)

„დინამო": გაბელია (მამინაშვილი), კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, ჰილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (თავაძე), მინაშვილი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე.

ასკ: სკრილნიკოვი, დანგა, სადიკოვი, ბიჩევი, რიუტინი, სემიონოვი, მისკოვი, კრიმსკი, კოზლოვი, ლავროვი, ბოლოჩოვი.

მსაჯი: ლ. აქსელევიჩი (მოსკოვი).

გოლები: ჩელებაძე (მე-9 წ.), ყიფიანი (18), ლავროვი (77), შენგელია (80).

რა თქმა უნდა, ხაბაროვსკელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი იღონეს მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ, მაგრამ თამაშის კლასში სოლიდურმა სხვაობამ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მატჩი საკმაოდ ნელ ტემპში მიმდინარეობდა, მაინც თავისი გაიტანა.

მე-9 წუთზე კოპალეიშვილი-ჩელებაძის კომბინაცია გოლით დასრულდა. კიდევ 9 წუთის შემდეგ ჩელებაძის თავური გადაცემა კარგად გამოიყენა ყიფიანმა — 2:0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა რატომღაც შეანელეს ტემპი და 77-ე წუთზე ერთი საპასუხო გოლიც მიიღეს.

მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შენგელიამ სამამდე გაზარდა ანგარიში.

3:1 — ასე დამთავრდა შეხვედრა.

ბუნებრივია, სუსტ მეტოქესთან მოგებული მატჩით ძნელია თბილისის „დინამოს" დღევანდელ სპორტულ ფორმაზე რამის თქმა. ერთი კი არის, წმინდა ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით გუნდი ურიგო შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

ბ. ირემაძე.



სურათზე: გარღვევაზეა რ. ჩელებაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



# „ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0 (0:0)

ძველ მეტოქეთა შეხვედრის დასაწყისში ტერიტორიულ უპირატესობას ტორპედოელებმა მიაღწიეს. გუნდი მოქმედებდა კოლექტიურად, კომბინაციურად, თუმცა ხშირად მიმართავდა მოკლე გადაცემებს, არც სისწრაფე იყო საკმარისი, რის გამოც მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტები არ იქნა რეალიზებული.

შუა ტაიმში სპარტაკელებმა გამოასწორეს მდგომარეობა და უკვე „ტორპედოს" მცველებს მოუხდათ სრული დატვირთვით ბრძოლა.

ანგარიში გაიხსნა 57-ე წუთზე, როცა ორჯონიკიძელთა საჯარიმო მოედანზე გასული ებანოიძის წინააღმდეგ მცველებმა აკრძალულ ილეთს მიმართეს. ოქროპირაშვილმა ზუსტად შეასრულა პენალტი — 1:0.

ამის შემდეგ ქუთაისელებს რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, კერძოდ, კვერნაძის მიერ დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა ცარიელ კარს. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ტორპედოელთა მცველმა შუგაევმა ხელით ითამაშა საჯარიმო მოედანში. სპარტაკელებმა 11-მეტრიანი მიანდოვეს ამბალოვს, მაგრამ მისი დარტყმა სწრაფი ნახტომით მოიგერია მეკარე მჭედლიძემ.

ქუთაისის „ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიძე, შუგაევი, გოგოლაძე, გვაძაბია, ფარულავა (გორგოძე), ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ზ. სვანაძე, ფესტვენიძე, ებანოიძე, კვერნაძე.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: თამაშობენ ქუთაისის „ტორპედო" და ორჯონიკიძის „სპარტაკი". პენალტი გააქვს შ. ოქროპირაშვილს.

კ. შანიძის ფოტო.



# ქაირათი (ალმა-ათა) — ასკ (ოდესა) 1:0 (1:0)

დათოვლილ, ატალახებულ მინდორზე თამაში ერთობ ჭირდა, ამიტომ ორივე გუნდს ზედმეტი ფიზიკური ძალების ხარჯვა მოუხდა ბურთის დაუფლებისთვის ბრძოლაში. ალმაათელ ბულგაკოვს და ოდესელ პოპოვს შესვენებამდე მიეცათ ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მისი გამოყენება.

მიმდინარეობდა ტაიმის ბოლო, 45-ე წუთი, როცა ალმაათელმა ფეხლევანიდმა კარგად შეარჩია მომენტი და გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.

მეორე ტაიმში თამაში გაცილებით უფრო მწვავედ მიმდინარეობდა. 61-ე წუთზე „ქაირათის" კართან შეიქმნა მომენტი, როცა საფრონენკოს დარტყმის შემდეგ გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ გოსტენინმა ბოლო მომენტში შეძლო ხიფათის უვნებელყოფა.

რ. ბაგრიჭიძე.

რუსთავი.

# საფეხბურთო მარათონის წინ

საქართველოს პირველი საფეხბურთო კოლექტივი — თბილისის „დინამო" უკვე შეუდგა ახალი სეზონის მარათონს. სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელიც გუშინ დაიწყო, სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელიც 3 აპრილს აიღებს სტარტს, შეხვედრები უეფ-ას თასზე, ცალკეულ მოთამაშეთა მონაწილეობა ოლიმპიურ ტურნირში, და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში,— აი, არასრული სია იმ საპასუხისმგებლო გამოსვლებისა, რომლებიც მიმდინარე წელს ელით დინამოელებს.

როგორია გუნდის საბრძოლო განწყობილება, ფეხბურთელთა ფიზიკური მდგომარეობა, კოლექტივის თითოეული წევრის მზადყოფნა? — ამაზე იყო საუბარი გუშინწინ დინამოელთა დიღმის საწვრთნელ ბაზაში მოწყობილ შეკრებაზე, სადაც საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ, თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა, ფეხბურთელებმა ილაპარაკეს იმ ამოცანებზე, რომლებიც გუნდის წინაშე დგას მიმდინარე სეზონში.

აღინიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალი დიდი აღიარება — მისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოება დინამოელთა წინაშე კიდევ უფრო ზრდის პასუხისმგებლობას — გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ 1980 — ოლიმპიური წლის სეზონში არ დათმოს საკავშირო თასი, მოიპოვოს ყველაზე მაღალი ადგილი ჩემპიონატში, მაქსიმალური მობილიზებით ჩაატაროს შეხვედრები საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო, რომ შარშან გამართულმა მატჩებმა, კერძოდ ინგლისის „ლივერპულთან", აგრეთვე ახლახან არგენტინაში ჩატარებულმა ტურნემ დინამოელებს გარკვეული საერთაშორისო აღიარება და პრესტიჟი მოუპოვა.

შეკრებაზე ითქვა, რომ დინამოელებს კარგად აქვთ შეგნებული მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებული ყოველი მატჩის როლი და ზემოქმედების ძალა მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების გუნება-განწყობაზე. ამიტომაც ყოველნაირად შეეცდებიან მაყურებელს უჩვენონ მაღალტექნიკური თამაში, შემტევი, თანამედროვე ფეხბურთი.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

# მთელი მონდომებით

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე საქართველოს წყალბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ბრძოლები და რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებთან და საზღვარგარეთის უძლიერეს კოლექტივებთან დაძაბულ პაექრობაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ამ წარმატებამ, რომელსაც მიაღწიეს სწორად წარმართული საწვრთნელი პროცესის, მზადების მთელი ციკლისადმი ყოველი სპორტსმენის სერიოზული მიდგომის შედეგად, ნათელჰყო, რომ საქართველოს წყალბურთელები (ისინი „დინამოს" გუნდის შემადგენლობაში გამოდიან საკავშირო ჩემპიონატში), მზად არიან მიმდინარე წელს იბრძოლონ ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის.

...ამის შესახებ იყო საუბარი საქართველოს სპორტკომიტეტში გამართულ შეხვედრაზე, სადაც თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. სანაძემ, გუნდის კაპიტანმა ვ. ისელიძემ, წყალბურთელებმა ნ. კურტანიძემ, მ. გიორგაძემ, ვ. არუთინოვმა და სხვებმა ილაპარაკეს საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის წინ ჩატარებულ მატჩებზე, თავიანთ მზადყოფნაზე მთელი მონდომებით იბრძოლონ ყველა შეხვედრაში.

● წყალბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

# დღე პირველი

გუშინ თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში სტარტი აიღო სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის II ტურის შეხვედრებმა.

ამ ეტაპზე ყოველი გუნდის უპირველესი მიზანი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა, რადგან სწორედ 6 კოლექტივი შეინარჩუნებს ჩემპიონობისთვის ბრძოლის უფლებას.

აღსანიშნავია, რომ ლვოველ დინამოელებს, რომლებიც სატურნირო ცხრილში ბოლოდან II ადგილზე არიან, თეორიული შანსი აქვთ, რათა 14 ქულა მოაგროვონ. შარშან სწორედ ამდენი ქულა ჰქონდა ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდს (კწფ), რომელმაც საუკეთესო ექვსეულში შემსვლელთა ჯგუფი „ჩაკეტა". ამდენად, თბილისში ერთობ ცხარე ბრძოლებია მოსალოდნელი.

ეს დაადასტურა შეჯიბრების სტარტზე გამართულმა პირველმა შეხვედრებმაც. ჯერ ერთმანეთის პირისპირ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბისა (სსფ ცსკ) და კიევის დინამოელები დადგნენ.

სსფ ცსკ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია, ხოლო მეორე — საშუალო გუნდი. მიუხედავად ამისა, მათი შეხვედრა თანაბარი ბრძოლით აღ-

* * *

სურათზე: ბაქოს კწფ-სა და ვოლგოგრადის „სპარტაკის" წყალბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(დასასრული მე-4 გვ.)



## სპორტული ფილმების კინოფესტივალი

ერთ-ერთმა ცნობილმა კინორეჟისორმა სამართლიანად უწოდა დოკუმენტურ კინოს — „კინოს სინდისი"... მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო კინემატოგრაფიის ადრეულ პერიოდს, ნათლად დავრწმუნდებით, რომ ხელოვნების ამ „მეათე მუზამ" იმთავითვე დოკუმენტური კინოს საწყისებზე იწყო განვითარება. დოკუმენტური ფილმებით წარსდგა მაყურებლის წინაშე, პარიზში, კაპუცინების ბულვარზე მდებარე კაფე-სარდაფში ლიუმერთა დუეტი... აქედან მოყოლებული „დიდი კინემატოგრაფის" გვერდით სინქრონულად ვითარდებოდა და ვითარდება კინომოყვარულთა საქმიანობაც, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

— ამჟამად რესპუბლიკაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 28 კინოსტუდია. ზოგიერთმა მათგანმა უკვე დაიმსახურა სახალხო კინოსტუდიის საპატიო წოდება.




კინომოყვარულთა პროფესიულ დაოსტატებას ყოველმხრივ უწყობს ხელს საქართველოს პროფსაბჭოს კინომოყვარულთა კლუბ-ლაბორატორია, იგი მეთოდურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს როგორც კინოსტუდიებს, ისე ინდივიდუალურად მომუშავე კინომოყვარულებს. კლუბ-ლაბორატორიაში დღითი დღე სრულყოფილი ხდება ტექნიკური აღჭურვილობა,— გვითხრა საქართველოს პროფსაბჭოს კინომოყვარულთა კლუბ-ლაბორატორიის დირექტორმა დავით ჭახელიძემ.

კინომოყვარულთა საქმიანობით სამართლიანად დაინტერესდა ისეთი შემოქმედებითი კერა, როგორიცაა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი. სადაც უკვე დიდი ხანია, რაც შეიქმნა კინომოყვარულთა სექცია (ხელმძღვანელი. კინორეჟისორი მ. კიტია, მეთოდისტი ა. ნასარიძე).

კინომოყვარულთა საქმიანობა ორგანულადაა დაკავშირებული ჩვენი ცხოვრების შეუნელებელ რიტმთან. ობიექტივებში ისახება ის მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ეპიზოდები, რომლებიც უნებლიედ შეიძლება გამორჩეს „დიდ კინემატოგრაფს".

კინომოყვარულებმა არაერთი საინტერესო დოკუმენტური და მხატვრული ფილმი შექმნეს სპორტის თემაზე. ამ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით ბოლო დროს მოეკიდნენ და ამით ერთგვარად თავიანთი შემოქმედებითი ნობათი უძღვნეს ისეთ დიდ მოვლენას სპორტის ისტორიაში, როგორიცაა XXII ოლიმპიური თამაშები.

ამასთან დაკავშირებით, საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთობლივი დადგენილების საფუძველზე საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნომ გადაწყვიტეს მოსკოვის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი სპორტული და ოლიმპიური თემატიკის კინომოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური კონკურსის ჩატარება.

და აი, 16-17 თებერვალს კახეთის ერთ-ერთი ბარაქიანი და უმშვენიერესი სოფელი ველისციხე გულთბილად მასპინძლობდა ლიტვის, ესტონეთისა და მოსკოვის კინომოყვარულებს, რომლებმაც ამ მეტად საპასუხისმგებლო კინოდათვალიერებაზე წარმოადგინეს სპორტულ თემაზე შექმნილი ფილმები. ანალოგიური კონკურსი შარშან მოეწყო ყველა მოძმე რესპუბლიკაში და ამდენად ეს კონკურსი ამ დიდი დათვალიერების ბოლო აკორდი იყო.

— მოყვარულთა ფილმების კინოფესტივალი წელს პირველად მოეწყო სოფელ ადგილას, — ამბობს დავით ჭახელიძე, — შემთხვევითი არ იყო, რომ ახლანდელმა ფესტივალმა სწორედ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში დაიდო ბინა. აქაურმა კინომოყვარულთა სტუდიის ნაყოფიერმა მუშაობამ თავიდანვე მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება. მოყვარულთა კინოხელოვნებას გაუჩნდა მრავალი ენთუზიასტი და თაყვანისმცემელი. ეს სოფელი ნიმუშია იმითაც, რომ მისი თავკაცები შესაფერისად აფასებენ კინოს, როგორც მასობრივი აგიტაციის საუკეთესო საშუალებას, ამავე დროს ყოველნაირად ხელს უწყობენ კინომოყვარულებს, უქმნიან მათ მუშაობისათვის საჭირო პირობებს.

ფესტივალ „ველისციხე-80"-ზე თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს: ფოთის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო სტუდიამ (ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე), კოლხეთის სოფლის მეურნეობის საცდელი სადგურის სტუდიამ — „ციტრუსი" (ხელმძღვანელი დ. ამბალია), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სახალხო სტუდიამ (ხელმძღვანელი რ. ლავთაძე), მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის სასოფლო კლუბთან არსებულმა სტუდიამ — „თოხი" (ხელმძღვანელი გ. ტუღუში), ლენინგორის რაიონის სოფელ ქარჩოხის სტუდიამ (ხელმძღვანელი რ. მუზაევი), თბილისის მ. გორკის სახ. კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო კინოსტუდიამ (ხელმძღვანელი თ. რუსიეშვილი), გურჯაანის სოფელ ველისციხის სასოფლო სტუდიამ (ხელმძღვანელი ლ. ისაკოვი), საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკურმა კლუბ-ლაბორატორიამ (დირექტორი დ. ჭახელიძე), საქართველოს პროფკავშირთა კავშირთაშორისო კულტურის სასახლის სახალხო სტუდიამ (ხელმძღვანელი ლ. კარაბეგოვი), თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სახალხო სტუდიამ — „პიონერფილმი" (ხელმძღვანელი გ. ჩიგოგიძე) და სხვებმა. კონკურსგარეშე წარმოადგინეს თავიანთი ფილმები ლიტველმა, ესტონელმა და მოსკოველმა კინომოყვარულებმა.

ჟიურის შემადგენლობას თავმჯდომარეობდა ახალგაზრდა კინორეჟისორი გელა კანდელაკი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კინემატოგრაფისტებთან ერთად ჟიურში მოწვეული იყვნენ ქართული საბჭოთა სპორტის ისეთი ღირსეული წარმომადგენლები, როგორებიც გახლავთ საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგე ელენე გოკიელი და ევროპის ჩემპიონი კრივში დავით კვაჭაძე.

ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმებიდან განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად საქართველოს პროფსაბჭოს კლუბ-ლაბორატორიაში შექმნილ ფილმს „სეზონის დახურვა", რომელშიც ავტორმა (მ. კილაძე) მოკრძალებულად და დოკუმენტური სიზუსტით გადმოგვცა ფეხბურთის სეზონის ბოლო დღე. აქ განსაკუთრებით აღინიშნა ჟიურის მიერ ავტორის ოპერატორული ხედვა და დამსახურებულად მიენიჭა მ. კილაძეს ფესტივალის სპეციალური დიპლომი „საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის".

სიუჟეტის მძაფრი, დინამიური და შინაარსობრივად ღრმა ქვეტექსტებით გამოირჩეოდა ფოთის კულტურის სახლთან არსებული სახალხო სტუდიის ხელმძღვანელის ოთარ ჯაფარიძის ფილმი „უვერტიურა", რომელსაც ასევე დიდი შეფასება ხვდა წილად. ამ ნიჭიერი კინომოყვარულის შემოქმედებას კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. იგი კოლხეთის მელიორაციისა და წყალთამეურნეობის, სამმართველოს სატუმბავი სადგურის უფროსია და პარალელურად სამ ათეულ წელზე მეტია ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართველ კინომოყვარულთა გვერდით. უბრალოდ, არც შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ფილმების „ტყვიაზე საშინელის" და „ბულალტრის შეცდომის" დიდი წარმატებები ტულის საკავშირო მიკროფილმების ფესტივალებზე „ლევშა-78"-ზე და „ლევშა-79"-ზე, სადაც მას დიდი პრიზები მიეკუთვნა. გასულ წელს კი ოთარ ჯაფარიძეს, როგორც მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატს, საკავშირო პროფსაბჭომ საპატიო წოდება „თვითშემოქმედების ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისათვის" მიანიჭა.

ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ ფესტივალზე პრემირებული სხვა ფილმებიც: „სიტყვა რაინდზე" (ავტორი თ. რუსიეშვილი), რომელიც სახელოვან ქართველ მოკრივეს დავით კვაჭაძეს ეძღვნებოდა, ბათუმელი კინომოყვარულების მოკლემეტრაჟიანი ფილმი კარატეზე. „ხერხი სჯობია ღონესა". ზესტაფონელთა ნამუშევარი ძიუდოზე და მის ენთუზიასტზე „საქმის სიყვარულით", პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი კინომოყვარულების „ჩვენც ოლიმპიელები ვართ" და საქართველოში სტუმრად ჩამოსული ჩეხი ავტომრბოლელებისადმი მიძღვნილი რეჟისორ გ. ტუღუშის ფილმი „ავტოროდეო".




ჟიურისა და მაყურებლის ყურადღება მიიქცია საქართველოს პროფკავშირთა კავშირთაშორისო კულტურის სასახლის სახალხო სტუდიის მიერ შექმნილმა ფილმმა „ფოტორეპორტიორი". რომელიც პოეტურად, დახვეწილი დოკუმენტალიზმით და ფაქტობრივი პროზაულობით მოგვითხრობს ერთ-ერთ ნიჭიერ სპორტულ ფოტორეპორტიორზე ა. კოტორაშვილზე. ამ ფილმმაც ფესტივალის საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

ველისციხეში ჩატარებული კინოფესტივალი რესპუბლიკის კინომოყვარულთა შემოქმედებითი მიღწევების ჭეშმარიტი დათვალიერება და ურთიერთდაახლოების, შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისა და პროფესიული დაოსტატების, გულახდილობისა და საქმიანი საუბრების, შეხვედრების დღეები იყო, ამ კონკურსში გამარჯვებულთათვის კი — გზის დალოცვა სპორტული ფილმების კინომოყვარულთა საკავშირო კინოფესტივალისაკენ, რომელიც მიმდინარე წლის მაისში გაიმართება მოსკოვში და მიეძღვნება XXII ოლიმპიურ თამაშებს.

ბ. ბაბნიძე.

### ველისციხე-80

# წინ საკავშირო ფესტივალია

---

● კლასიკური ჭიდაობა

## გროდნოს ხალიჩაზე

გროდნოში გაიმართა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" საკავშირო საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

82 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვ. ადეიშვილმა (მწვრთნელი ვ. ზამთარაძე), ხოლო მძიმე წონაში გაიმარჯვა რ. კანთელაძემ (მწვრთნელი კ. შეყრილაძე). ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი გ. შენგელია. სამივე ქართველი მოჭიდავე შეყვანილია „ბურევესტნიკის" საკავშირო საბჭოს ნაკრებში. ისინი მზადებას განაგრძობენ საუწყებო პირველობისთვის, რომელიც 7-10 მარტს რიგაში გაიმართება.

შ. ქიმერიძე.

## სპორტული ოჯახების დავაში

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის დოსააფის ტირში გაიმართა საქალაქო პირველობა ტყვიის სროლაში საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების უძლიერეს სპორტულ ოჯახებს შორის. ღონისძიება საბჭოთა არმიის 62-ე წლისთავს მიეძღვნა.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ლენინის, 1-ლი მაისის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, ოქტომბრის, 26 კომისრისა და საბურთალო რაიონების კოლექტივები. გუნდების წევრთა რაოდენობა განუსაზღვრელი იყო, მაგრამ ჩათვლაში 2-2 საუკეთესო შედეგი შედიოდა.

გუნდურ პირველობაში იმარჯვა 26 კომისრის რაიონის ნაკრებმა — 178 ქულა. შემდეგ მოდიან კიროვის რაიონისა (158) და კალინინის რაიონის (142) კოლექტივები.

ვაჟთა შორის პირადი პირველობა მოიგო გ. აგაჯანოვმა (კიროვის რაიონი), რომელმაც 100-დან 92 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ი. ტარიელოვი — 89 და ე. ტარიელოვი (ორივე — 26 კომისრის რაიონი) — 87.

ქალთა შორის ადგილები ასე განაწილდა: ე. სანგალოვა (26 კომისრის რაიონი) — 89, ნ. კვარაცხელია და ე. გოგსაძე (ორივე — ლენინის რაიონი).

ლ. გოგიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

● ჭადრაკი

## ორნი — უმაღლეს ლიგაში

„ლელოს" 26 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში „ორნი ფინიშთან" ვიტყობინებოდით, რომ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის მასობრივ ტურნირში კოეფიციენტთა ცხრილით I ადგილი დ. გურგენიძეს (საგარეჯო, „კოლმეურნე") მიეკუთვნა. როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა რ. თავარიანმა შეგვატყობინა, მსაჯთა კოლეგიას გამოუჩენია უზუსტობა — სინამდვილეში კოეფიციენტთა მაჩვენებელი უკეთესი აქვს კ. შავგულიძეს (0,91-ით) და I ადგილიც მას ეკუთვნის. შეცდომა გასწორდა და საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის უმაღლეს ლიგაში ქუთაისის ჩემპიონი, 15 წლის კ. შავგულიძე („სპარტაკი") ითამაშებს. როგორც გამონაკლისი, დიდი წარმატებისთვის დ. გურგენიძეც დაშვებულია უმაღლეს ლიგაში.

---

# „ლელოს" გამოსვლის შემდეგ

### რედაქციას უპასუხებს გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. გელაშვილი

„ლელოს" 8 იანვრის № 5-ში დაბეჭდილი სტატია **„თითო აგურის დადება ყველას შეუძლია"** სწორად ასახავს გაერთიანებაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობას. წერილში მთლიანად გადმოცემულია ის მიღწევები. რაც ფეიქარ სპორტსმენებს გააჩნიათ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე. სტატიაში ნათქვამია ისიც, რომ აქაურ სპორტსმენებს ჯერ კიდევ არ აქვთ ვარჯიშისათვის საჭირო პირობები. არ არის სპორტული დარბაზი, შეუფერებელ პირობებშია სპორტკლუბ „დილას" ჭიდაობის სპორტსკოლა, გაერთიანებას არა აქვს საცურაო აუზი, სასროლეთი.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ წერილში არასწორადაა მითითებული გაერთიანების კულტურის სასახლის მშენებლობის დაწყების ვადები. კულტურის სასახლის აგება დაიწყო 1974 წელს და არა 15-17 წლის წინ, როგორც გაზეთი იტყობინება. როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში მიუღია ის ფაქტი, რომ იმ ადგილზე, სადაც ახლა მიმდინარეობს კულტურის სასახლის მშენებლობა, 1957 წელს ჩაეყარა საძირკველი ახალ კლუბს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მაშინ მშენებლობა ამ სტადიის იქით აღარ წასულა — დაკონსერვდა. ზუსტად ამ ადგილზე დაიწყო 1974 წელს ახალი კულტურის სასახლის მშენებლობა. მის დროულად დამთავრებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მშენებარე ორგანიზაცია — № 9 სამშენებლო ტრესტი ვერ ითვისებდა გამოყოფილ თანხებს. ასე მაგალითად, 1974 წელს გეგმიური 500 ათასი მანეთის ნაცვლად აითვისეს 300 ათასი მანეთი, 1975 წელს 410 ათასი მანეთის ნაცვლად — 162 ათასი მანეთი. გეგმების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი იყო მშენებლობის ასაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, კედლების პანელებით, საარმატურე ლითონითა და სხვა ნაკეთობებით არასტაბილური მომარაგება. მშენებლობის გაჭიანურება გამოიწვია იმანაც, რომ ორჯერ შეიცვალა პროექტი.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გადაწყვეტილია ბამბეულის საწარმოო გაერთიანების კულტურის სასახლის მშენებლობა დამთავრდეს 1980 წელს.

გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა შეიმუშავა მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა გეგმა.

# სსრ კავშირის 43-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი




უმაღლესი ლიგა, I წრე

**I ტური**
**3 აპრილი, ხუთშაბათი**

„არარატი“ (ერევანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი)
**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი)**
„ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (მოსკოვი)
„ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი)
„დინამო“ (კიევი) — ცსკა
„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)
„შახტიორი“ (დონეცკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
„კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (დონის როსტოვი)

**II ტური**
**7 აპრილი, ორშაბათი**

**„დინამო“ (თბ.) — „ქაირათი“**
„ფახთაქორი“ — „არარატი“
„ნეფთჩი“ — „დინამო“ მნ.
„დინამო“ კ. — „ზენიტი“
„ჩერნომორეცი“—„დინამო“ მ.
„შახტიორი“ — „ტორპედო“
„კარპატი“ — ცსკა
„ყუბანი“ — „ლოკომოტივი“
ასკ რ. — „სპარტაკი“

**III ტური**
**11 აპრილი, პარასკევი**

ცსკა — „შახტიორი“

**12 აპრილი, შაბათი**

„ქაირათი“ — „არარატი“
**„ყუბანი“ — „დინამო“ თბ.**
„დინამო“ მნ. — ფახთაქორი“
„ზენიტი“ — „ნეფთჩი“
„ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“
„სპარტაკი“ — „კარპატი“

**13 აპრილი, კვირა**

„დინამო“ მ. — „დინამო“ კ.
„ლოკომოტივი“ — ასკ რ.

**IV ტური**
**16 აპრილი, ოთხშაბათი**

ცსკა — „ჩერნომორეცი“
„სპარტაკი“ — „შახტიორი“

**17 აპრილი, ხუთშაბათი**

**„არარატი“ — „დინამო“ თბ.**
„დინამო“ მნ. — „ქაირათი“
„ზენიტი “ — „ფახთაქორი“
„ტორპედო“ — „დინამო“ კ.
„ლოკომოტივი“ — „კარპატი“
ასკ რ. — „ყუბანი“

**18. აპრილი, პარასკევი**

„დინამო“ მ. — „ნეფთჩი“

**V ტური**
**22 აპრილი, სამშაბათი**

„არარატი“ — „ზენიტი“
**„დინამო“ თბ. — „დინამო“ მ.**
„ქაირათი“ — „ტორპედო“
„ფახთაქორი“ — ცსკა
„ნეფთჩი“ — „სპარტაკი“
„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“
„ჩერნომორეცი“ — ასკ რ.
„შახტიორი“ — „კარპატი“
„ყუბანი“ — „დინამო“ მნ.

**VI ტური**
**2 მაისი, პარასკევი**

„არარატი“ — „შახტიორი“
„ქაირათი“ — „დინამო“ კ.
„ნეფთჩი“ — „ფახთაქორი“
**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ.**
„კარპატი“ — „დინამო“ მნ.
„ზენიტი“ — ასკ რ.
„დინამო“ მ. — „ლოკომოტივი“
„სპარტაკი“ — „ტორპედო“

**3 მაისი, შაბათი**

ცსკა — „ყუბანი“

**VII ტური**
**10 მაისი, შაბათი**

„ტორპედო“ — „არარატი“
„ლოკომოტივი“ — „ფახთაქორი“

**11 მაისი, კვირა**

„ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“
„კარპატი“ — „დინამო“ კ.
„ზენიტი“ — „ყუბანი“
„დინამო“ მ. — „დინამო“ მნ.
„სპარტაკი“ — „ქაირათი“
ასკ რ. — „ნეფთჩი“
**„დინამო“ თბ. — ცსკა.**

**VIII ტური**
**15 მაისი, ხუთშაბათი**

„ლოკომოტივი“ — „ჩერნომორეცი“
„დინამო“ მ. — „ქაირათი“

**16 მაისი, პარასკევი**

„ყუბანი“ — „კარპატი“
„დინამო“ მნ. — „არარატი“
**„დინამო“ თბ. — „ზენიტი“**
„სპარტაკი“ — „დინამო“ კ.
ასკ რ. — „შახტიორი“
„ფახთაქორი“ — „ტორპედო“



**17 მაისი, შაბათი**

ცსკა — „ნეფთჩი“

**IX ტური**
**26 მაისი, ორშაბათი**

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მნ.

**27 მაისი, სამშაბათი**

„დინამო“ კ. — „ნეფთჩი“
„ჩერნომორეცი“ — „ფახთაქორი“
„შახტიორი“ — „ქაირათი“
**„კარპატი“ — „დინამო“ თბ.**
„ზენიტი“ — „სპარტაკი“
ცსკა — „დინამო“ მ.
ასკ რ. — „არარატი“

**28 მაისი, ოთხშაბათი**

„ტორპედო“ — „ყუბანი“

**X ტური**
**2 ივნისი, ორშაბათი**

ცსკა — „ზენიტი“

**3 ივნისი, სამშაბათი**

„არარატი“ — „ლოკომოტივი“
**„დინამო“ თბ. — ასკ რ.**
„ქაირათი“ — „კარპატი“
„ფახთაქორი“ — „შახტიორი“
„ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“.
„დინამო“ კ. — „ყუბანი“
„დინამო“ მნ. — „სპარტაკი“
„ტორპედო“ — „დინამო“ მ.

**XI ტური**
**8 ივნისი, კვირა**

**„ლოკომოტივი“ — „დინამო“ თბ.**

**9 ივნისი, ორშაბათი**

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ.
„შახტიორი“ — „ნეფთჩი“
„კარპატი“ — „ფახთაქორი“
„ყუბანი“ — „დინამო“ მ.
„დინამო“ მნ. — ცსკა
„ზენიტი“ — „ტორპედო“
„სპარტაკი“ — „არარატი“
ასკ რ. — „ქაირათი“

**XII ტური**
**17 ივნისი, სამშაბათი**

„ქაირათი“ — „ლოკომოტივი“
„ნეფთჩი“ — „კარპატი“
„დინამო“ მ. — „ზენიტი“
ცსკა — „არარატი“

**18 ივნისი, ოთხშაბათი**

**„დინამო“ თბ. — „სპარტაკი“**
„ფახთაქორი“ — ასკ რ.
„დინამო“ კ. — „შახტიორი“
„ყუბანი“ — „ჩერნომორეცი“
„ტორპედო“ — „დინამო“ მნ.

**XIII ტური**
**21 ივნისი, შაბათი**

„ქაირათი“ — ცსკა
„ნეფთჩი“ — „ლოკომოტივი“

**22 ივნისი, კვირა**

„არარატი“ — „დინამო“ მ.
**„ტორპედო“ — „დინამო“ თბ.**
„სპარტაკი“ — „ფახთაქორი“
„დინამო“ კ. — ასკ რ.
„შახტიორი“ — „ყუბანი“
„კარპატი“ — „ჩერნომორეცი“
„ზენიტი“ — „დინამო“ მნ.

**XIV ტური**
**25 ივნისი, ოთხშაბათი**

„ლოკომოტივი“ — ცსკა

**26 ივნისი, ხუთშაბათი**

„არარატი“ — „დინამო“ კ.
„ფახთაქორი“ — „ქაირათი“
**„ნეფთჩი“ — „დინამო“ თბ.**
„შახტიორი“ — „ზენიტი“
„დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“
„დინამო“ მ. — „კარპატი“
„სპარტაკი“ — „ყუბანი“
ასკ რ. — „ტორპედო“

**XV ტური**
**30 ივნისი, ორშაბათი**

**„დინამო“ თბ. — „შახტიორი“**
„დინამო“ კ. — „ფახთაქორი“
„ჩერნომორეცი“ — „ქაირათი“
„კარპატი“ — „არარატი“
„ყუბანი“ — „ნეფთჩი“
„დინამო“ მნ. — ასკ რ.
„დინამო“ მ. — „სპარტაკი“
ცსკა — „ტორპედო“

**1 ივლისი, სამშაბათი**

„ლოკომოტივი“ — „ზენიტი“

**XVI ტური**
**9 ივლისი, ოთხშაბათი**

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“
**„დინამო“ თბ. — „დინამო“ კ.**
„ქაირათი“ — „ნეფთჩი“
„ფახთაქორი“ — „ყუბანი“
„შახტიორი“ — „დინამო“ მნ.
„ზენიტი“ — „კარპატი“
„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“
„სპარტაკი“ — ცსკა
ასკ რ. — „დინამო“ მ.

**XVII ტური**
**4 აგვისტო, ორშაბათი**

„ტორპედო“ — „კარპატი“

**5 აგვისტო, სამშაბათი**

**„ფახთაქორი“ — „დინამო“ თბ.**
„ნეფთჩი“— „არარატი“
„ჩერნომორეცი“ — ზენიტი“
„ყუბანი“ — „ქაირათი“
„დინამო“ მ. — „შახტიორი“
„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“
ასკ რ. —ცსკა
„დინამო“ მნ. — „დინამო“ კ.

## ტაშკენტის ტრადიციული

იუნიორ ფეხბურთელთა ტაშკენტის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე 10 გუნდმა მოიყარა თავი. ტურნირი რიგით მეათეა, მასში მონაწილეობენ სსრ კავშირის I, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ისა და რსფსრ-ს (I ქვეჯგუფი); სსრ კავშირის II, პოლონეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უზბეკეთის (II ქვეჯგუფი) კოლექტივები.

გათამაშების [illegible] სსრ კავშირის I ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი. სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკია — უზბეკეთი 2:0, უნგრეთი — ბულგარეთი — 2:1.

## მ ს ა ჯ თ ა   ს ე მ ი ნ ა რ ი

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტი და ფეხბურთის ფედერაცია 29 თებერვალს იწყებენ ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.

მსაჯებისთვის, რომლებსაც აქვთ კვალიფიკაცია, სემინარების გავლა სავალდებულოა, ხოლო ახალბედა მსაჯებს შეეძლებათ კატეგორიის მიღება. სემინარი 29 თებერვალს იწყება ფიზკულტურის ტექნიკუმის შენობაში (კონსტიტუციის ქ № 6) 19 საათზე.

## ჟურნალისტებთან კონფლიქტის გამო

**ერთობ** უჩვეულო ცნობამ მოიარა გასული წლის დასასრულს პოლონური პრესის ფურცლები: დისკვალიფიკაცია მიეცა პოლონეთის ნაკრების ოთხ წამყვან წევრს, ოთხ გამოჩენილ ფეხბურთელს, თანაც სასჯელი საკმაოდ მკაცრი იყო.

რა მოხდა, რით დაიმსახურეს ასეთი რისხვა მოთამაშეებმა, რომელთა სახელები პირზე აკერიათ გულშემატკივრებს. ლატოს, ბონეკის. ტერლეცკისა და შიმანოვსკის დამსახურება დიდია პოლონური ფეხბურთის წინაშე.

გამოირკვა, რომ პოლონეთის ნაკრების ერთ-ერთი წარუმატებელი მატჩის შემდეგ ჟურნალგაზეთებში გამოჩნდა მიმომხილველთა კრიტიკული ხასიათის შენიშვნები. ავადმოხსენებულთა შორის იყო ზემოჩამოთვლილი „კვარტეტიც“. შემდეგ, ერთ-ერთი ვოიაჟის დროს. თვითმფრინავში ერთად მოიყარეს თავი პოლონეთის ნაკრებმა და ჟურნალისტებმა, აქ კი ფეხბურთელებმა ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყეს სპორტულ მიმომხილველებს. მათი უდიერი გამოხდომები ავტობუსშიც გაგრძელდა.

მოთამაშეები მკაცრად დასაჯეს ასეთი, მოკრძალებით რომ ვთქვათ, უტაქტობისთვის, ბონეკს და ტერლეცკის 1980 წლის მაისის შუა რიცხვებამდე აეკრძალათ უცხოეთში მგზავრობა ნაკრებისა თუ კლუბის შემადგენლობაში, ლატოს და შიმანოვსკის კი იგივე სასჯელი დაედოთ, ოღონ უფრო მცირე ხნით — თებერვლამდე. შიმანოვსკი განთავისუფლებულია პოლონეთის ნაკრების კაპიტნის მოვალეობისგან.

ამასთან ერთად, პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ გააფრთხილა ნაკრების უფროსი მწვრთნელი რ. კულეშა, აგრეთვე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ი. ჩეზლიკი, იმისთვის, რომ მათ დროული რეაგირება არ მოახდინეს ფეხბურთელთა უხამსობაზე.

## იუგოსლაველი მწვრთნელის აზრით

**ცნობილი** იუგოსლაველი მწვრთნელი ივიჩი, რომელიც ადრე ამსტერდამის „აიაქსს“ ედგა სათავეში, ახლა სამშობლოში მუშაობს და რესპუბლიკის ჩემპიონის „ჰაიდუკის“ (სპლიტი) მთავარი მწვრთნელია. იმის გამო, რომ „ჰაიდუკი“ ევროპის ჩემპიონთა თასზე 5 მარტს „ჰამბურ-გერ შპორტფერაინს“ ხვდება, ივიჩი თვალს ადევნებს ბუნდესლიგის ლიდერის გამოსვლებს. აი, რა განაცხადა მან ჰამბურგელთა თამაშზე „ბაიერნთან“ (მიუნხენი) მატჩის შემდეგ:

— „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ ფავორიტია არა მარტო „ჰაიდუკთან“ შეხვედრაში, არამედ, საერთოდ, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზეც. უფრო მეტიც, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ ახლა ყველაზე უფრო ძლიერი გუნდია ევროპაში. პირდაპირ საოცრება იქნება „ჰაიდუკმა“ რომ 2 შეხვედრაში მისი დამარცხება შეძლოს. ვთქვათ, შესაძლებელი რომ იყოს „ჰაიდუკსა“ და ჰამბურგელებს შორის 10 შეხვედრის გამართვა, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ მოიგებდა ამ სერიას შეფარდებით 8:2!

ივიჩმა ხაზი გაუსვა ჰამბურგელთა დიდ აგრესიულობას:

—როდესაც კალცი, მაგატი ან სხვა ვინმე ბურთს ფრთიდან ცენტრში აწოდებს, იქ ერთბაშად 7 ფეხბურთელი მიიჩქარება, აქედან ექვსი, კიგანს თუ არ ჩავთვლით, 186 სანტიმეტრზე მაღალია. „ჰამბურგი“ ძლიერია არა მარტო შეტევისას, მას დაცვიდან კონტრშეტევაზე გადასვლაც ემარჯვება.

**გ. თორელი.**

## ინგლისის თასზე

გაიმართა ინგლისის თასის V წრის შეხვედრები. „ლივერპულმა“ სძლია „ბერის“ — 2:0, „ევერტონმა“ დაამარცხა „ვრექსჰემი“ — 5:2, „იფსვიჩ თაუნმა“ — „ჩესტერ სიტი“ — 2:1, „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ — „ბირმინჰემ სიტი“ — 3:1, „ვესტჰემ იუნაიტედმა“ — „სვენსი თაუნი“ — 2:0. „ბლექბერნ როვერსისა“ და „ასტონ ვილას“, აგრეთვე, „ბოლტონ უონდერერსისა“ და „არსენალის“ მატჩები დასრულდა ფრედ, ერთნაირი ანგარიშით 1:1. გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

დიდი მოულოდნელობა იყო „ვულვერჰემპტონ უონდერერსის“ წაგება საკუთარ მინდორზე „უოტფორდთან“ (II ლიგა) და თანაც ანგარიშით 0:3!




## სანტანა შეტევის მომხრეა

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ შეცვალა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა.

კლაუდიო კუტინიოს განთავისუფლება ბრაზილიელებს უნდოდათ ჯერ კიდევ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როცა სამგზის ჩემპიონებმა საკმაოდ უფერულად ითამაშეს. მაშინ კუტინიო გადაარჩინა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ადმირალმა ნუნესმა, მაგრამ, როცა 1979 წლის მიწურულში ნაკრებს ახალი მარცხი მოუვიდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში და ახლა უკვე თვით ადმირალს მოუხდა გადადგომა, კუტინიოს უკვე არავინ ჰყავდა მფარველი და ისიც სანტანათი შეცვალეს.

ნაკრების ახალი მწვრთნელი, 48 წლის ტელე სანტანა გამოჩენილი ფეხბურთელი იყო. როგორც მიმომხილველები იუწყებიან, ასეთი შესანიშნავი მარჯვენა გარემარბი რიო-დე-ჟანეიროს პოპულარულ კლუბ „ფლუმინენსეს“ არასოდეს ჰყოლია. შემდეგში სანტანამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა უკვე როგორც მწვრთნელმა. იგი სათავეში ჩაუდგა პროვინციულ კლუბ „ატლეტიკოს“ (ბელუორიზონტი), რომელსაც მანამდე არავინ იცნობდა და ბრაზილიის ჩემპიონი გახადა იგი. კლუბებმა ნამდვილი ნადირობა დაიწყეს სანტანაზე, ამ „სასწაულმოქმედ“ მწვრთნელზე. ყველას უნდოდა მისი გადაბირება.

და სანტანამაც გაამართლა თავისი რეპუტაცია. იგი სათავეში ჩაუდგა სან-პაულუს პოპულარულ „პალმეირასს“, რომელმაც მასთან ერთად სამჯერ მოიპოვა ბრაზილიის ჩემპიონობა. სანტანაზე დაიწყეს ლაპარაკი როგორც ბრაზილიის № 1 მწვრთნელზე. ცხადია, აქ დიდი მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, რომ სანტანას გუნდები ყოველთვის უჩვენებდნენ ლამაზ, კომბინაციურ. შემტევ ფეხბურთს.

როგორც კი ტ. სანტანა ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნეს, ჟურნალისტებმა მყისვე ჰკითხეს მას, თუ როგორ აპირებს იგი გუნდში მუშაობას. სანტანას პასუხი ლაკონური იყო:

— მე არასოდეს მწამდა, რომ სხვადასხვა დაცვითი სისტემით შეიძლება რიგიანად ითამაშო ფეხბურთი.

**გ. ედიბერიძე.**

# ოლიმპიურ მაგისტრალზე

**1980** წლის ზამთრის თამაშების ჩემპიონმა, ავსტრიელმა „მფრინავმა მოთხილამურემ“ ტონი ინაუერმა ოლიმპიელთა გზას „ლეიკ-პლესიდ-მოსკოვის“ მაგისტრალი უწოდა. მისი აზრი, უეჭველად გამოხატავს ლეიკ-პლესიდში თავმოყრილ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა განწყობილებას. გთავაზობთ საკ-დესის კორესპონდენტების მიერ აღებულ რამდენიმე ინტერვიუს წლევანდელ ოლიმპიურ ჩემპიონებთან.

**ტონი ინაუერი** (ავსტრია): ჩვენ აქ ვგრძნობდით ოლიმპიელთა შორის ურთიერთგაგებით სავსე თბილ ატმოსფეროს. ბევრი მეგობარი შევიძინე იაპონიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საბჭოთა კავშირიდან. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია ოლიმპიურ ზეიმში.

მწვავე და ამავე დროს კეთილშობილური სპორტული ორთაბრძოლებით ლეიკ-პლესიდმა სათავე დაუდო მაგისტრალს, რომელსაც მთელი ოლიმპიური სამყარო მიჰყავს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ზაფხულის თამაშებზე. ვოცნებობ მოსკოვში გამგზავრებაზე ჩვენი ქვეყნის ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში. წლევანდელი ოლიმპიური წელი მსოფლიოს უდიდესი მონაპოვარია სპორტული ახალგაზრდობისათვის. ჩემი მიზანია სპორტის ამ ყველაზე დიდ ფესტივალზე მოხვედრა.

**ჰანი ვენცელი** (ლიხტენშტეინი), **ორგზის ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში.**

— დიდი საბჭოთა ქვეყანა სპორტში მეგობრობს პატარა სახელმწიფოებთან, როგორც თანასწორებთან. ჩვენ ეს ვიცით და ვაფასებთ. ჩვენი მძლეოსნები და ფეხბურთელები უკვე იყვნენ სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში და იქიდან შესანიშნავი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

მოსკოვის ოლიმპიადის მოვლენებს ტელევიზორით ვნახავ და ამდენად გავხდები ამ საინტერესო ზეიმის მონაწილე. ჩემი აზრით, მოსკოვის თამაშები, როგორც ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადა, ბევრ ახალგაზრდა სპორტსმენს განუმტკიცებს რწმენას საკუთარი თავის მიმართ, დაეხმარება მათ მიაღწიონ ოსტატობის უმაღლეს მწვერვალს. ოლიმპიური თამაშების გარეშე მსოფლიოს სპორტი დაიღუპებოდა.

**იუჰა მიეტო** (ფინეთი), **თხილამურებით რბოლის პრიზიორი:**

— სპორტულ ორთაბრძოლებში დაბადებული მეგობრობა ყველაზე მაგარი შენადნობის მსგავსია. მას ვერავინ გაწყვეტს. 30 წლისა ვარ და არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. მაგრამ აქ, ლეიკ-პლესიდში თავს სულ ახალგაზრდად ვგრძნობდი. ამის მიზეზი არა მარტო სპორტი, არამედ გვერდით მდგომი მეგობრები იყვნენ, რომლებიც სულ ახალ-ახალ ხასიათებს ამჟღავნებდნენ.

მაგალითად, ნიკოლოზ ზიმიატოვი ბოლო ძნელ რბოლაში 50 კილომეტრზე სულ მამხნევებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეტოქე ვიყავი. ზიმიატოვის წყალობით კიდევ ერთი, ალბათ ბოლო ოლიმპიური ვერცხლის მედალი მოვიპოვე.

ასეთი დიდი სპორტსმენების აღმზრდელი ქვეყნით შეიძლება აღფრთოვანდე. მე დიდ პატივს ვცემ ზიმიატოვისა და როდნინას, სმეტანინასა და ტიხონოვის სამშობლოს და მივესალმები ზაფხულის ოლიმპიადა-80-ს. (საკდესი).

## დღე პირველი

დასასრული

ინიშნა, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კიეველები მეოთხე პერიოდის მიწურულამდე ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ არმიელმა მეზღვაურებმა ბოლოს მაინც შეძლეს წონასწორობის აღდგენა.

საბოლოოდ ფრე — 6:6.

შემდეგ სარბიელი ბაქოელ მეზღვაურებსა და ვოლგოგრადის სპარტაკელებს დაეთმო. ამ შეხვედრამდე კწფ 8 ქულით III ადგილზე იყო, ხოლო „სპარტაკმა“ ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვა და სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა. სპარტაკელებმა ვერც ამჯერად გამოიჩინეს თავი და დამარცხდნენ ანგარიშით 2:9.



აღსანიშნავია. რომ ამ შეხვედრაში ვოლგოგრადელებს ორჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა და ორივეჯერ... საკუთარ კარში მიიღეს ბურთი.

დღისით გამართული შეხვედრები ალმა-ათის „დინამოსა“ და მათი მოსკოველი თანაკლუბელების მატჩით დამთავრდა. მანამდე გამართულ პაექრობებში მოსკოველებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და ქულათა მაქსიმუმით (10 ქ.) სატურნირო ცხრილის სათავეში იყვნენ, ამჯერად კი პირველი წაგება იწვნიეს — 5:7. მოსკოველთა მარცხი სპეციალისტებმა დიდ მოულოდნელობად ჩათვალეს.

**საღამოს** გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა: ლვოვის „დინამოსა“ და მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 6:6. მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა დაამარცხეს ტაშკენტის „მეხნატი“ — 11:7.

ბოლოს ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „მოსკვიჩი“. თუმცა სტუმრები ერთთავად მდევრების როლში იყვნენ, მათ შეძლეს თამაშის უკანასკნელ წამებზე გაეტანათ ბურთი, რომელმაც წონასწორობა აღადგინა — 8:8.

ა. რაჭველიშვილი.

* * *

**სურათზე:** ალმა-ათის „დინამოსა“ და მათი მოსკოველი თანაკლუბელების წყალბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● **კლასიკური ჭიდაობა**

### „ოქროც“, „ვერცხლიც“...

**ბულგარეთის** ქალაქ პლევენში გაიმართა გამოჩენილი ფალავნის ნიკოლა პეტროვის სახელობის მე-18 საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 4 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ქართველი მოჭიდავეები თემურ აფხაზავა (82 კგ) და მიხეილ სალაძე (100). საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონმა მ. სალაძემ შესანიშნავად განვლო ტურნირი — ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ყველა ვადაზე ადრე მოიგო. ფინალში მან დაამარცხა ევროპისა და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი ვ. რაიკოვი (ბულგარეთი) და ოქროს მედალს დაეუფლა. აფხაზავამაც ალმავლობით დაიწყო შეჯიბრება. ზედიზედ ხუთი ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდა მასპინძელ პავლოვთან და მეორე ადგილზე გავიდა.

სალაძის გარდა საბჭოთა გუნდს ოქროს მედლები მოუტანეს შ. სერიკოვმა (57) და ი. კანიგინმა (90).

პარალელურად შვეციაში მიმდინარეობდა ასევე საერთაშორისო ტურნირი. აქ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა ნ. ბაბიაშვილი (100 კგ). ქართველმა ფალავანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

● **ძიუდო**

### ხუთი პრიზიორი

ლენინგრადში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში 1961-1962 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

საქართველოს წარმომადგენლებმა (მწვრთნელები ა. ნინიაშვილი და ო. მერაბიშვილი) რუსეთის ფედერაციის გუნდის შემდეგ II საპრიზო ადგილი დაიკავეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ რ. მარგველანი, ლ. ნაკანი და ა. ხვადაგიანი. II ადგილებზე გავიდნენ ზ. გობოზოვი და ნ. შპეტიშვილი.

ა. ხურცილავა,
„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსპექტორი.

## პანორამა

● **ფარიკაობა**

### ჩხვლეტათა რაოდენობით

**პოლონეთის** ქალაქ კონინში ჩატარდა მოფარიკავეთა ტრადიციული ტურნირი „ვოლოდიევსკის ხმალი“. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა მოფარიკავეებმა. ჩვენი ხმლით მოფარიკავეებს გადამწყვეტი ბრძოლა ჰქონდათ უნგრელ სპორტსმენებთან. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 8:8. გამარჯვებული გამოავლინა ჩხვლეტების რაოდენობამ, რომელიც საბჭოთა ნაკრებს მეტი აღმოაჩნდა — 68:61.

კარგად გამოვიდნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ კროვოპუსკოვი — სამი მოგება, ა. ნაზლიმოვი, მ. ბურცევი და ნ. ალეხინი.

საბჭოთა ხმლით მოფარიკავეებმა დაამარცხეს აგრეთვე იტალიის, რუმინეთის, პოლონეთისა და საფრანგეთის ნაკრებები.

● **ჭადრაკი**

### ფინალში გავიდნენ

კარგ ტრადიციად იქცა თბილისის ჭადრაკის სასახლის ჩემპიონატი. სხვადასხვა დროს ამ ტურნირის გამარჯვებულები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა, ოსტატები ზ. მიქაძე, ა. ბოკუჩავა, დ. ჯანოევი, ა. იზვოზჩიკოვი, თ. ლომაია და სხვები.

გუშინწინ დამთავრდა სასახლის X ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელშიც ფინალის სამი საგზურისთვის იბრძოდა 108 მოჭადრაკე — 12 ოსტატობის კანდიდატი, 49 პირველთანრიგოსანი და 47 მეორეთანრიგოსანი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარდა.

I-III ადგილები გაიყვეს და ფინალის საგზურები მოიპოვეს ოსტატობის კანდიდატებმა გ. ჭელიძემ, ა. ამირზატენმა და პირველთანრიგოსანმა თ. ანდღულაძემ — 7,5-7,5 ქულა,

გ. ფამილიანტი,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● **ხელბურთი**

### დაძაბულ ბრძოლაში

**ჩელიაბინსკში** გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები. თბილისელმა სტუდენტებმა დაძაბულ ბრძოლაში წააგეს მინსკის არმიელებთან — 19:21. ცსკა-მ მოუგო კუნცევოს — 24:23, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდმა — ტაშკენტის კოლექტივს — 23:21. მაი-სა და კიევის არმიელების მატჩში სტუდენტებმა იმარჯვეს — 26:24, ხოლო მასპინძელთა „პოლიოტმა“ სძლია ლვოველ არმიელებს — 30:23, ფრედ (26:26) დამთავრდა კრასნოდარის ფისკ-ისა და კაუნასის „გრანიტასის“ შეხვედრა.

● **მხიარული ფანჯრით**




უსიტყვოდ



ი. ცეინაშვილის ნახატები.

**ბაკურიანი-80**

## დაწინაურდა „კოლმეურნე“

**საქართველოს** პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებების გუნდების ზამთრის სპარტაკიადაზე, რომელიც ბაკურიანის ბაზებზე მიმდინარეობს, მეორე დღეს მრბოლელებმა „იაგორას ველზე“ იასპარეზეს.

15 კილომეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებაში უშეღავათო ბრძოლა გამართეს ვ. ტერეხოვმა („ბურევესტნიკი“), რ. ზედგენიძემ და ვ. ლადნოვმა (ორივე — „კოლმეურნე“). ჩემპიონობის ბედი უკანასკნელ მეტრებში გადაწყდა: ფინიში ტერეხოვს უკეთესი აღმოაჩნდა — 52.15. ზედგენიძემ მასთან 5 წამი წააგო. ლადნოვი III ადგილზე გავიდა — 53.35.

იუნიორები ამავე მანძილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის უძლიერესმა ა. კრუპაბერიამ აბსოლუტური მესამე შედეგი მოიპოვა, რამაც მას თანატოლებში ჩემპიონობა მოუტანა — 53.32. II და III პრიზიორები — ლ. ხაჩატურიანი და ს. კოსიანი (ყველა — „კოლმეურნე“) გამარჯვებულს 1.33 და 1.58-ით ჩამორჩნენ შესაბამისად.

ქალები და გოგონები 5 კილომეტრზე დარბოდნენ. ქალთა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა სტუდენტთა გუნდის წევრს ნ. ვასილენკოვას — 20.55. მ. ამბარცუმიანი — 21.39 და ე. თერზურაბიანი (ორივე — „კოლმეურნე“, 21.55) მომდევნო ადგილებზე გავიდნენ და თავიანთ გუნდს ერთად უფრო მეტი ქულა მოუტანეს.

გოგონებში სამივე პრიზიორი „კოლმეურნედან“ აქ პირველობა ერგო ელზა ზურაბიანს — 21.55. მან რ. შერვაშიძეს 35 წამით აჯობა, ხოლო მ. ლეონტიევა შერვაშიძეს 5 წამით ჩამორჩა.

კოხტაგორაზე ჩატარდა შეჯიბრება მეორე გიგანტურ სლალომში. თუ წინა დღეს თ. ჯაფარიძემ („ბურევესტნიკი“) და დ. თვაურმა ერთნაირი მაჩვენებლით გაიყვეს I-II ადგილები, ახლა ორი დაშვების ჯამში ჯაფარიძე (2.01,06) 0,01 წამით უფრო სწრაფი აღმოჩნდა. რაც შეეხება მესამე პრიზიორს გ. ქართველიშვილს („ბურევესტნიკი“), იგი ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩა — 2.11,04.

იუნიორთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მ. ჯიქოევი („სპარტაკი“) — 2.09,09. გ. ხაზარაძე — 2.12,0, გ. დევდარიანი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 2.13,11.

გოგონები და ქალები თითო ცდას ასრულებდნენ. ქალთა შორის ამჯერადაც მ. კოზანაშვილმა გაიმარჯვა — 1.13,01. II ადგილზე გავიდა მ. ხრიკაძე (ორივე — „კოლმეურნე“) — 1.22,05, III — ტ. ბერიშვილი („ბურევესტნიკი“) — 1.34,0.

გოგონებში პრიზიორები გახდნენ: ნ. ალექსი-მესხიშვილი — 1.19,01, ტ. ხვედელიძე (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 1.30,01 და ა. სოტიროვა („კოლმეურნე“) — 1.35,0.

დამთავრდა 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა. მისი ტექნიკური შედეგები ასეთია:

ვაჟები. მ. ბაკაევი — 219,1 ქულა (ნახტომები — 45,5 და 46,5 მ), ვ. ხუბაევი (ორივე — „კოლმეურნე“) — 201,5 (43,5 და 44,5 მ), რ. გელაშვილი („განთიადი“) — 161,7 (39,5 და 39 მ).

იუნიორები. გ. გაგლოშვილი — 189,6 (42 და 42,5), რ. ხარებაშვილი (ორივე — „კოლმეურნე“) — 180,7 (39,5 და 41,5), ვ. ფილიშვილი („სპარტაკი“) — 135,3 (33 და 32 მ).

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: „კოლმეურნე“ — 785 ქულა, „ბურევესტნიკი“ — 338, „განთიადი“ — 266, „ვოდნიკი“ — 91, „სპარტაკი“ — 64.

(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02083